სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

27/09/2024

MES 6 24 0001221775

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით, მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში და იმ მობილობის მსურველებისათვის, რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში, მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება ამავე დაწესებულებაში, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ” სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის MES 4 24 0001.1/103 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის წესით მიღებული 2024 წლის 26 სექტემბრის N 01-05-04/155 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა განცხადება (დანართი 1) და თანდართული

დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024 წლის 1-4 ოქტომბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10 ^{00} სთ-დან - 16 ^{00} სთ-მდე; მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრაციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს.
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა, ინფორმატკისა და მართვის სისტემების, ბიზნესტექნოლოგიებისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2024 წლის 5 ოქტომბრისა;
5. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 7 ოქტომბრისა;
6. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2024 წლის 7 ოქტომბრისა;
7. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2024 წლის 14 ოქტომბრისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ. წერეთელს;
9. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ